საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახიანი ნიკოლოზ საულის ძე

კახიანი ნიკოლოზ საულის ძე [11(23). VII. 1884, სოფ. როკითი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 15. II. 1928, თბილისი], ქირურგი და მორფოლოგი. ქართული მეცნ. ქირურგ. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მედ. მეცნ. დოქტორი (1917), პროფესორი (1917). 1910 დაამთავრა ოდესის უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტი. 1910–14 მუშაობდა ამავე ფაკ-ტის ანატ. კათედრაზე; ოთხჯერ იყო მივლინებული კაიროში ბალზამირების ეგვ. წესის შესასწავლად. 1917 აირჩიეს ეკატერინოსლავის (ახლანდ. დნეპროპეტროვსკი) უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტის ანატ. კათედრის გამგედ, 1919 თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის ტოპოგრაფიული ანატ. და ოპერაციული ქირურგ. კათედრის გამგედ, ხოლო 1921–28 განაგებდა თსუ-ის სამკურნ. ფაკტის ქირურგ. პროპედევტიკის კათედრას.

კ-მა საქართველოში დანერგა გასტროენტეროანასტომოზის, კუჭის რეზექციის, ჰიპოფიზის ამოკვეთის, თირკმლისა და თირკმელზედა ჯირკვლის რეზექციის, ტუბერკულოზით დაზიანებული თირკმლის სისხლძარღვების გადაკვანძვის, თავის ქალას ტრეპანაციის, გულის ჭრილობის გაკერვისა და სხვ. ოპერაციები.

თხზ.: ქირურგიული ანატომიის მოკლე სახელმძღვანელო, ნაწ. 1, ტფ., 1925; Повторительный курс нормальной анатомии человека, Екатеринослав, 1918; Радикальная операция по поводу рака молочной железы под местным обезболиванием, Тфл., 1927.

ლიტ.: К а х и а н и З., გამოჩენილი ქართველი ქირურგი ნიკოლოზ კახიანი, თბ., 1951; П и п и я И. К., Жизнь и деятельность Николая Сауловича Кахиани, კრ.: Актуальные вопросы хирургии, Тб., 1969.